დაკარგული მაგიის ძიებაში

თამთა თურმანიძე

საკვანძო სიტყვები: *კინო, ბილი უაილდერი, ძმები კოენები, სინეფილი, კვენტინ ტარანტინო*

2007 წელს კანის საიუბილეო, მე-60 ფესტივალისთვის ჟილ ჟაკობმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ამ, ყველაზე პრესტიჟული, კინოფორუმის პრეზიდენტი იყო, საინტერესო პროექტი წამოიწყო. მსოფლიოს წამყვან რეჟისორებს შესთავაზა გადაეღოთ 3-4-წუთიანი ფილმები, რომლებშიც კინემატოგრაფის მიმართ დამოკიდებულებას გამოხატავენ. პროექტმა სახელწოდება – „ყველას თავისი კინო აქვს“ - მიიღო და შემდეგ, უფრო წვრილი შრიფტით - „ანუ, როგორ გიჩერდება გული, როდესაც შუქი ქრება და სეანსი იწყება“.

პროექტში 20-ზე მეტმა, განსხვავებული ხელწერის რეჟისორმა მიიღო მონაწილეობა და შესაბამისად, თავად კინოკრებულიც საკმაოდ ჭრელი გამოვიდა. თუმცა ერთი, რაც ამ განსხვავებულ ნამუშევრებს აერთიანებდა, ის იყო, რომ რეჟისორების უმეტესობამ კინოსთვის სიყვარულის ასახსნელ ადგილად კინოთეატრი აირჩია და წარსულში მოგზაურობა დაიწყო.

ირონიული აკი კაურისმიაკის ფინელი მუშები, დამღლელი სამუშაო დღის შემდეგ, კინოში უყურებენ „მუშების გამოსვლას ლუმიერების ფაბრიკიდან“. უკანა რიგში მჯდომი ნანი მორეტი კი, მისთვის გამოყოფილ 3 წუთში იხსენებს ყველაფერს, რასაც მასზე, როგორც მაყურებელზე მოუხდენია შთაბეჭდილება.

ჟილ ჟაკობის დაკვეთით შექმნილ კინოკრებულში კინოს ჩაბნელებულ დარბაზში სეანსის დაწყების ლოდინი სასწაულის მოლოდინივითაა. თავად კინოდარბაზი კი, სიყვარულისა და გამქრალი მაგიის ტერიტორია. მაგრამ კინოსადმი სიყვარულის მრავალჯერადი ახსნის მიუხედავად, კრებულის ფილმების უმეტესობა სევდისა და ჯადოქრობის დასრულებით გამოწვეული ტკივილის განცდას ტოვებს.

ერთ-ერთი ყველაზე სევდიანი ალბათ, Aანდრეი კონჩალოვსკის ფილმი „წყვდიადშია“, რომელშიც უზარმაზარ ცარიელ დარბაზში ფელინის „8 1/2“-ს მხოლოდ ასაკოვანი დამლაგებელი ქალი უყურებს.

საგულისხმოა, რომ ჟაკობის პროექტი 2007 წელს განხორციელდა, როდესაც დიდი კინო, თავის კარგ მსახიობებთან ერთად, ჯერ კიდევ არ იყო ჩაშლილი და ჩაკარგული მაღალმხატვრულად შესრულებულ და მაღალრეიტინგული სერიალების სამყაროში, Netflix-ს კი, ჯერ არ დაეწყო მომხმრებლისთვის კინოს ნაკადურად მიწოდება.

თავის დროზე ძმებმა ლუმიერებმა თომას ედისონს იმით აჯობეს, რომ მათი გამოგონება - სინემატოგრაფი - მასობრივი მაყურებლისთვის იყო განკუთვნილი, მაშინ, როდესაც ედისონის კინეტოსკოპის ფილმების ყურება მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო. მაგრამ დღეს, სრულიად საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა. ეკრანი, რომლის მეშვეობითაც კინო ჩვენ ყოველდღიურობაში შემოდიოდა, სულ უფრო პატარავდება და პრაქტიკულად, ჩვენივე სმარტფონების ხელა ხდება, რომელსაც, როდესაც გინდა, გამორთავ, შეაჩერებ, გადაახვევ და ა.შ.

კინოს კრიზისზე ადრეც, ლამის ყოველი ათწლეულის დასაწყისში საუბრობდნენ. ჯერ იყო ტელევიზია, რომელმაც ადამიანებს საშუალება მისცა, სანახაობის დღიური ნორმა სახლიდან გაუსვლელად მიეღო. შემდეგ ნელ-ნელა განვითარდა ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც, უსაზღვრო შესაძლებლობებთან ერთად კინოს თითქოს ინდივიდუალობის ნაწილს ართმევდნენ.

თუ გამოვტოვებთ საუკუნეების განმავლობაში შექმნილ - კამერა ობსკურებს, ლატერნა მაგიკებსა და ლეონარდოს ალბომში ჩახატულ კინოაპარატის ესკიზებს, რეალური არსებობის 125 წლის განმავლობაში, ასეთ უცნაურ ვითარებაში კინო ალბათ არასდროს მოხვედრილა. თუმცა კრიზისულ მდგომარეობაში ადრეც ყოფილა,

სულ უფრო ხშირად ისმის საუბრები კინოს დასასრულის, გლობალურ ქსელში გათქვეფისა და ჩაკარგვის შესახებ. ასეთ კრიზისულ ვითარებებში კი,

როგორც წესი, კინემატოგრაფი ეკრანზე საკუთარი წარსულის პროეცირებას იწყებს და იღებს კინოს კინოს შესახებ.

კინოს გარდაცვალებისა და მაგიის გაფანტვის შესახებ პირველად, ჯერ კიდევ მისი ახმოვანების შემდეგ ალაპარაკდნენ, როდესაც უამრავმა მსახიობმა თუ რეჟისორმა ცვლილებებს ფეხი ვერ აუწყო და კინოსამყაროს მიღმა დარჩა.

ეს ყველაზე კარგად, ბილი უაილდერის, 1950 წელს გადაღებულ ფილმში

„სანსეთ ბულვარი“, გლორია სვენსონის გმირმა, ყველასგან მივიწყებულმა, უხმო კინოს ვარკვლავმა ნორმა დესმონდმა თქვა - რომ კინო მოკვდა, უფრო სწორად, მოკლეს, მას შემდეგ, რაც აალაპარაკეს. ამან კი კერპები – ფერბენქსები, გილბერთები და ვალენტინოები გაანადგურა.

ოდესღაც მილიონების სათაყვანებელი კერპი, ნორმა დესმონდი, ყველასგან დავიწყებული ცხოვრობს აკლდამადქცეულ უზარმაზარ სასახლეში. გვერდით მხოლოდ ერთგული მოსამსახურე მაქსია, რომელიც მზად არის, ქალბატონის ყველა ბრძანება და სურვილი შეასრულოს. მაქსი იმაზეც ზრუნავს, რომ ქალბატონს ილუზიები საბოლოოდ არ გაეფანტოს და რამდენჯერმე წარუმატებელი სუიციდს მცდელობა ბოლომდე არ მიიყვანოს. ამიტომ, თითქმის ყოველდღე უგზავნის არარსებული თაყვანისმცემლების წერილებს. სიტუაციის დრამატულობას ის ფაქტიც ამძაფრებს, რომ ნორმა დესმონდის როლის შემსრულებელი გლორია სვენსონი თავის დროზე თავად იყო უხმო კინოს ვარსკვლავი.

უაილდერის ფილმში კიდევ ბევრი „განადგურებული კერპია“, რომლებიც საკუთარ თავს ასახიერებენ. ასეთია ჩაპლინამდელი ეპოქის უდიდესი კინოკომიკოსი და მისი ძირითადი კონკურენტი - ბასტერ კიტონი, თავისი საფირმო, ცოტა მობერებული, მაგრამ ისეთივე შეუვალი და გაუღიმარი სახე-ნიღბით.

ასეთია ევროპიდან გადახვეწილი - ერიხ ფონ შტროჰეიმის პერსონაჟიც – მაქს ფონ მეიერლინგი, ოდესღაც იმედისმომცემი რეჟისორი, დესმონდის ყოფილი ქმარი, რომელიც იმდენად არის ნორმაში და მასთან ერთად - ძველ კინოსამყაროში შეყვარებული, რომ მოსამსახურის დამამცირებელ როლსაც კი ეგუება, ოღონდ, საკუთარი კერპის გვერდით იყოს.

ერიხ ფონ შტროჰეიმის პერსონაჟი ფილმში ამბობს, რომ ძველ ჰოლივუდში სამი იმედისმომცემი რეჟისორი იყო - დევიდ უორქ გრიფითი, სესილ დე მილი და მაქს ფონ მეიერლინგი.

როგორც ამერიკელი კინოკრიტიკოსი როჯერ ებერთი აღნიშნავს, თუ ბოლო სახელს ფონ შტროჰეიმით ჩავანაცვლებთ, აზრი, პრაქტიკულად, იგივე დარჩება.[1]

„სანსეთ ბულვარის“ ეპიზოდს, რომელშიც ნორმა დესმონდთან ბრიჯის სათამაშოდ, ძველი დროის კერპები იკრიბებიან, ფილმის მეორე მთავარი გმირი, ხელმოცარული ახალგაზრდა სცენარისტი ჯო გილისი შემთხვევით არ უწოდებს ცვილის ფიგურების საღამოს. მართლაც - ბასტერ კიტონი, ერიხ ფონ შტროჰეიმი თუ ადა ნილსონი აქ არა მხოლოდ საკუთარ თავებს, არამედ, მთელ ეპოქასა და ამ ეპოქაში ჩარჩენილ ყოფილ კინოვარსკვლავთა ტიპაჟებს ასახიერებენ.

უაილდერი უხვად იყენებს რეალურ სახელებსაც - დერილ ზანუკი, გრეტა გარბო, ტაირონ პაუერი. რეალურ სტუდია „პარამაუნტში“ გადაღებულ ეპიზოდში კი, მცირე კამეოში - ლეგენდარული სესილ დე მილიც ჩნდება.

თავად ნორმა დესმონდი უხმო კინოს ეპოქის რამდენიმე კინოვარსკვლავი ქალის ცხოვრების შტრიხებით არის შთაგონებული. გლორია სვენსონის გმირი, ოდესღაც მილიონობით ამერიკელისთვის სათაყვანებელი მერი პიქფორდის მსგავსად, ხალხისგან შორს, განდეგილად ცხოვრობს და უხმო კინოს კიდევ ერთ პოპულარულ ვარსკვლავ - მეი მიურეის მსგავსად, ფსიქიკურ აშლილობას ებრძვის.[2]

სვენსონი თავის პერსონაჟს უხმო კინოს ესთეტიკისთვის დამახასიათებელი თეატრალურობით, ექსპრესიული ჟესტიკულაციითა და ისტერიამდე მისული ექსცენტრიკით ასახიერებს, რაც უკვე ქმნის კონტრასტს 1950-იანი წლების რეალობასა და იმ ძველ კინოსამყაროს შორის, რომელსაც ნორმა დესმონდი მიეკუთვნებოდა.

შეუძლებელია, თანაგრძნობის გარეშე უყურო

1 Ebert, Sunset Boulvard.

2 Sunset Blvd.

ფილმის ბოლო ეპიზოდს, როდესაც გილისის მკვლელობის შემდეგ, საბოლოოდ შეშლილი ნორმა, კვლავ რეპორტიორების, ფოტოგრაფებისა და კამერების ნანატრი ყურადღების ქცეშ ექცევა და ჰგონია, რომ მას ახალ ფილმში იღებენ.

ყოფილი კერპების რეაქცია „სანსეთ ბულვარზე" საკმაოდ არაერთგვაროვანი იყო. ჰოლივუდში გამართული დახურული ჩვენების შემდეგ ბარბარა სტეინვიკმა გლორია სვენსონს დაუჩოქა და მისი კაბის კალთას ეამბორა, მაშინ, როდესაც მერი პიქფორდმა ფილმის დასრულებამდე დატოვა დარბაზი. შეურაცხმყოფელად ჩათვალა ფილმი მეი მიურეიმაც. სხვათა შორის, თავის დროზე, მთავარ როლზე ორივე მათგანის კანდიდატურა განიხილებოდა.

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ძნელია არ დაეთანხმო როჯერ ებერტის შეფასებას, რომ: „სანსეტ ბულვარი" რჩება კინოს შესახებ გადაღებულ საუკეთესო დრამად, რადგან ილუზიების მიღმა იხედება, იმის მიუხედავად, რომ თავად ნორმა ამას არ აკეთებს".[3]

უაილდერის ფილმი კინოსამყაროს მიღმა დარჩენილი ადამიანების ცხოვრებისეული დრამაა, სადაც წარსულის აჩრდილებად ქცეულ ყოფილ კინოვარსკვლავებისადმი თანაგრძნობასთან ერთად ირონიაც საკმაო დოზითაა და, თავად კინოინდუსტრიის კრიტიკაც, რის გამოც ლუის მეიერმა რეჟისორს უმადურიც კი უწოდა.[4]

სრულიად სხვა ტიპისაა კინოს შესახებ, უკვე პოსტმოდერნიზმის ეპოქაში გადაღებული ფილმები, რომლებიც აშკარად სინეფილურ, ნოსტალგიურ ხასიათს ატარებენ.

2016 წელს ამერიკელმა რეჟისორებმა ძმებმა ეთან და ჯოელ კოენებმა გადაიღეს ფილმი „დიდება კეისარს!", სადაც 50-იანი წლების ჰოლივუდში დიდი სტუდიების ეპოქის დასასრული და მაკარტიზმის ხანის „კუდიანებზე ნადირობა" საკმაოდ ირონიულად წარმოაჩინეს.

ფილმს ვერ უწოდებ კოენების საუკეთესო ნამუშევარს, მაგრამ ნამდვილად საინტერესო მაგალითია საჩვენებლად, თუ წლებთან ერთად როგორ შეიცვალა კინოს მიერ საკუთარი თავის ეკრანზე წარმოჩენის ხასიათი.

ჟურნალ Sight & Sound-ის მიმომხილველი ბენ უოლთერსი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „შესაძლოა, ფილმის მისია კინოს საკუთარი თავისგან გადარჩენაა – ერთი მხრივ, აჩვენოს კლასიკური სისტემის უნარი - გამოიწვიოს აღფრთოვანება და ამავე დროს, არ დაივიწყოს მისი მსახურების აბსურდულობის ჩვენება".[5]

„მსახურების აბსურდულობის ჩვენებაში" კი, კოენები ნამდვილად დაუზარლები არიან.

ფილმი იწყება იმით, რომ გამოგონილი სტუდია Capitol Pictures ერთ-ერთ ფილმ კოლოსის „დიდება კეისარს!" გადაღებებიდან მოულოდნელად ქრება მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ბერდ უითლოქი (ჯორჯ ქლუნი). ეს ფაქტი განსაკუთრებით მტკივნეული სტუდიის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის, უფრო მარტივად კი, ყველა პრობლემის „მომგვარებელი" ედი მენიქსისთვისაა, რომელმაც, იმის გარდა, რომ სასწრაფოდ უნდა იპოვოს დაკარგული კინოვარსკვლავი, ამავე დროს, არ უნდა დაუშვას ამბის პრესაში გაჟონვა, რაც შეიძლება საშინელ სკანდალად იქცეს და გაანადგუროს სტუდიის რეპუტაცია.

ეს უკანასკნელი კი მენიქსისთვის წმინდათაწმინდაა. სწორედ რეპუტაციის შესანარჩუნებლად არ სძინავს მას დღე და ღამე, დავიწყებული ჰყავს ოჯახი და საკუთარი თავიც. ყველაფერმა კი ისე გადაღალა, რომ უკვე დიდი ხანია, ჩუმად, სხვა სამსახურის ძიებაშია და ფილმის დასაწყისში ხვდება კიდეც პოტენციურ დამქირავებელს.

თითქმის მთელი ფილმის განმავლობაში კოენები იყენებენ რეპლიკებსა და ციტატებს კლასიკური ჰოლივუდის ფილმებიდან. ერთმანეთის მიყოლებით ჩამოუვლიან სტუდიური სისტემის დომინირების პერიოდის ჰოლივუდის კლასიკურ ჟანრებსა თუ მათთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს. ფილმის გმირები კი, ამ ჟანრებთან დაკავშირებული, სხვადასხვა დროის მსახიობების ერთგვარ კრებსით მხატვრულ სახეებს წარმოადგენენ.

ფილმი, რომელსაც Capitol Pictures იღებს, ტიპური მრავალმილიონიანი პეპლუმია - „ბენ ჰურისა" (1959) თუ „კამო გრადეშის" (1951) მსგავსი.

3 "Roger Ebert.

4 Sunset Blvd.

5 Walters, Film of the Week...

რალფ ფაინსის გმირთან, სალონური მელოდრამების დიდოსტატ ევროპელ რეჟისორთან ბევრი ასოციაცია შეიძლება გაჩნდეს, რომელსაც, უნდა თუ არა, მოუწევს ფილმში ვესთერნებიდან გადმონაცვლებული უნიჭო მსახიობის, მომღერალი კოვბოის გადაღება, რადგან სტუდიის ხელმძღვანელობამ ასე გადაწყვიტა.

ძმები კოენების ფილმში კლასიკური ჰოლივუდის მთავარი ჭორიკანა რეპორტიორების - ლუელა პარსონისა და ჰედა ჰოპერისთვისაც მოიძებნა ადგილი. ისინი ტილდე სუინტონის განსახიერებული ტყუპი სკანდალისტი ჟურნალისტი დების პროტოტიპები არიან.

ერთი სიტყვით, ფილმი ნამდვილი საჩუქარია ნებისმიერი სინეფილისთვის, რომელსაც შეუძლია მასში ნაცნობი ფილმები, მსახიობები თუ რეჟისორები ამოიცნოს.

კოენებსა და მათ მაყურებელს ფილმში მოთხრობილი ამბებისგან საკმაოდ დიდი დრო აშორებთ, რომლის განმავლობაშიც უამრავი რამ შეიცვალა კინოშიც და მთლიანად სამყაროშიც. დროს კი, ერთი უცნაური თვისება აქვს - წარსულის გადაფასებისას, ყველაზე მძიმე მოვლენებსაც კი ერთგვარი ნოსტალგიითა და რომანტიზებით წარმოაჩენს.

გარკვეული დროის შემდეგ მაკარტიზმის პერიოდიც კი შეიძლება ირონიითა და გროტესკით აჩვენო. ამიტომაცაა, რომ ჯორჯ ქლუნის გმირს კომუნისტებისადმი სიმპატიით განწყობილი, შერისხული სცენარისტების ჯგუფი გაიტაცებს, რომლების ოცნება დიად საბჭოთა კავშირში გამგზავრებაა.

საბოლოო ჯამში, კოენების ფილმში გამარჯვება ისევ კინემატოგრაფს რჩება და სწორედ კინო არის ის კეისარიც, რომელსაც დიდებით მივესალმებით სახელწოდებაშივე. ფინალში ჯორჯ ქლუნის პერსონაჟიც უბრუნდება გადასაღებ მოედანს, ედი მენიქსიც უქმნის ახალ, უფრო მშვიდ სამსახურში გადასვლის ცდუნებას და კინოსტუდიის ერთგული რჩება.

თანამედროვე რეჟისორთა უმეტესობა საშინელი სინეფილია, ისინი პატივს მიაგებენ წარსულის კერპებს, მათი ფილმები კი, კლასიკური კინემატოგრაფის უხვი ციტირებითაა აღსავსე. მაგრამ თანამედროვე კინოს ყველაზე დიდი სინეფილი მაინც კვენტინ ტარანტინოა, მთელი მისი ფილმოგრაფია - ესაა განუწყვეტელი რეპლიკები და ომაჟები ძველი კინოსადმი, იქნება ეს სპაგეტი ვესტერნები თუ ფილმები აღმოსავლური ორთაბრძოლების შესახებ.

The Guardian-ის შეფასებით, მისი „ერთხელ ჰოლივუდში“ სხვა არაფერია, თუ არა სასიყვარულო წერილი, გაგზავნილი 60-იანი წლების ჰოლივუდისთვის.[6]

„ერთხელ ჰოლივუდში“ ტარანტინოს ალბათ ყველაზე ატმოსფერული ფილმია, რომელშიც რეჟისორმა თავს ბოლომდე მისცა წარსულის ვიზუალიზაციით ტკბობის უფლება.

ბრედ ფითის პერსონაჟი ლამის 10 წუთის განმავლობაში ეშვება ბევერლი ჰილზის ცნობილ სერპანტინზე, ნელ-ნელა ბნელდება, ინთება ბარებისა თუ რესტორნების ნეონის განათებები, რადიოთი როკენ-როლს გადმოსცემენ, ისმის საღამოს ქალაქის ხმაური, მანქანები შედიან ღია Drive-in კინოთეატრში. ან კალიფორნიის მზით ოქროსფრად შეფერადებული შერონ ტეიტი, მარგო რობის შესრულებით, ახალგაზრდობის, სილამაზისა და წარმატების განსახიერება, პატარა მანქანით მიდის ქალაქის ცენტრისკენ, გზად ვიღაც ჰიპ გოგონასაც წაიყვანს, შემდეგ ბუკინისტურ მაღაზიაში ქმრისთვის წიგნს იყიდის. უცბად კინოთეატრის აფიშაზე საკუთარ სახელს ამოიკითხავს და ფილმის სანახავად შევა. კინოდარბაზში კი, წინა რიგის სკამების საზურგეზე ფეხებშემოწყობილი, ჩუმად ამოიღებს სათვალეს და საკუთარ თავს ეკრანზე ბედნიერი უყურებს.

თანამედროვე დასავლურ კინოში იშვიათობაა, ამდენი საეკრანო დრო მსგავს, თითქოსდა მოქმედების განვითარებისთვის არაფრისმომცემ ეპიზოდებს დაუთმო. მათ, რომლებიც ამ ფილმში ტარანტინოსეულ ექშენს, ჯვარედინ თხრობას, დინამიკურ მონტაჟსა და სისხლის გუბეებს ელოდნენ, ცოტა იმედი გაუცრუვდათ, რადგან „საფირმო“ ტარანტინო მხოლოდ ფილმის ბოლო ეპიზოდში, ისიც საკმაოდ მცირე დროით ჩანს. ფილმის ნამდვილი გმირი კი, არც ლეონარდო დი კაპრიოს ასაკშეპარული, სატელევიზიო ვესტერნების მსახიობი ნიკ დალტონი და არც მისი ერთგული „საჭურველმტვირთელი“ ქლიფ ბუთია (ბრედ პიტი), არც ჩარლზ მენსონი, რომლის საზარე-

6 Ide W. Once Upon a Time in Hollywood review...

ლი აჩრდილი სულ რამდენიმე წამი გაიელვებს ერთ-ერთ ეპიზოდში.

მთავარი გმირი თავად დროა – 60-იანი წლები, თავზეხელაღებული თავისუფლების, როკ-ენ-როლისა და ახალგაზრდული პროტესტის დრო, როდესაც ყველას ეჩვენებოდა, რომ სამყაროს შეცვლა უკეთესობისკენ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო.

მაგრამ ატმოსფერულობის მიუხედავად, ტარანტინო მაინც მუდმივი სასპენსის მდგომარეობაში ტოვებს მაყურებელს და ამისთვის ბევრი ძალისხმევაც არ არის საჭირო. როდესაც შარონ ტეიტის რეალური მკვლელობის ამბავი იცი, ჩარლზ მენსონის წამიერი გაელვება ეკრანზე უკვე პანიკაში გაგდებს და ყოველ წუთს გაუცნობიერებლად ელოდები ფატალურ დასასრულს.

ცოტა უცნაური იყო, როდესაც რეჟისორმა კანის ფესტივალზე მანიაკალური აკვიატებით მოითხოვა მაყურებლისგან ფილმის ფინალის საიდუმლოდ შენახვა.

ტარანტინომ ხომ ყველზე კარგად იცის, რომ კინო მხოლოდ ფაბულა არ არის და მით უმეტეს, დასპოილერების შიში მისგან გასაკვირია.

ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ მის საქციელს ალბათ ორი მიზეზი ჰქონდა. ერთი, რომ ტარანტინომ კიდევ ერთხელ გააშაყირა სპოილერის შიშით შეპყრობილი საზოგადოება, რაც მისგან გასაკვირი ნამდვილად არ არის და მეორე – შარონ ტეიტის გადარჩენით, მან კინო და მასთან ერთად მთელი ეპოქაც გადაარჩინა.

კინოკრიტიკოსი გოგი გვახარია წერს: „კვენტინ ტარანტინომ თავისი ახალი ფილმი მიუძღვნა „დიდ კინოს“, რომელიც აღარ არებობს, რომელიც შეიცვალა მასობრივი მოხმარების „საქონლით“, რომელსაც, თავის მხრივ, შეგიძლია ფასი დაუგდო, მდარე გახადო, თუკი მავნებელი მაიმუნივით მოიქცევი და შინაარსს წინასწარ უამბობ მაყურებელს. კვენტინ ტარანტინო თავად წერდა, რომ ფილმი იმ „ეპიკური ჰოლივუდის“ აღდგენის სურვილია, რომელიც დასრულდა 1969 წელს“.[7]

განხილული სამივე ფილმი კინოს ისტორიის კონკრეტულ ეპოქასთან განშორებას ეძღვნება. დღევანდელ სამყაროში ძნელია რაიმე პროგნოზების გაკეთება კინოს შემდგომი განვითარების შესახებ, მით უმეტეს, კორონავირუსის მიერ შეცვლილი რეალობის პირობებში.

Netfllix-მა უკვე მოასწრო და პანდემიის პერიოდში შექმნილი კინოალმანახის „Homemade“ პრემიერა მოაწყო, რომლისთვისაც, თვითიზოლაციაში მყოფმა 18-მა რეჟისორმა გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმები თვითიზოლაციის შესახებ.[8]

კანის ფესტივალის მესვეურებმა კი კატეგორიული უარი თქვეს ფესტივალის არასრულყოფილად, ონლაინ რეჟიმში ჩატარებაზე და მხოლოდ იმ ფილმების სიის გამოქვეყნებით შემოიფარგლნენ, რომლებიც კინოფორუმში მონაწილეობდნენ.

ბრიტანული კინოსაიტისთვის მიცემულ ინტერვიუში ფესტივალის გენერალურმა დირექტორმა ტიერი ფრემომ აღნიშნა, რომ ფესტივალი მხოლოდ საუკეთესო სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, „ვარსკვლავების, მაყურებლის, პრესის და ექსპერტების მონაწილეობით“, რაც კორონავირუსის პირობებში შეუძლებელია.[9]

შესაბამისად, კომპრომისული ვარიანტი არც განიხილებოდა.

ბილი უაილდერის „სანსეთ ბულვარის“ ფინალურ ეპიზოდში გლორია სვენსონის პერსონაჟი მეფური ჟესტით მიმართავს რეჟისორს და ამბობს: „არაფერი სხვა. მხოლოდ ჩვენ, კამერები და ეს შესანიშნავი ხალხი სიბნელეში“.

ნამდვილად ძნელია, არ დაეთანხმო.

7 გვახარია, კვენტინ ტარანტინო...

8 Лаврецкий Н. Альманах Homemade.

9 Goodfellow, Thierry Frémaux talks Cannes 2020...

გამოყენებული ლიტერატურა:

- გვახარია გ. კვენტინ ტარანტინო ეხმარება ღმერთს. 2 აგვისტო, 2019 - https://www.radiotavisupleba.ge
- 2019 - Лаврецкий Н. Альманах Homemade на Netflix: Паоло Сорентино, Кристин Стюарт и другие в надежде на продуктивный карантин. Искусство Кино. 07.07.2020 - https://kinoart.ru/reviews/almanah-homemade-na-netflix-paolo-sorrentino-kristen-styuart-i-drugie-v-nadezhde-na-produktivnyy-karantin?utm-source=facebook.com&utm-medium=social&utm-campaign=ot-paolo-sorrentino-do-kristen-styuart-n
- Ebert R. Sunset Boulvard. 27 June. 1999 - https://www.rogerebert.com/reviews/great-movie-sunset-boulevard-1950
- Goodfellow M.. Thierry Frémaux talks Cannes 2020 Official Selection plans, saving cinema, and Spike Lee's return (exclusive) . 11 May 2020 https://www.screendaily.com/interviews/thierry-fremaux-talks-cannes-2020-official-selection-plans-exclusive/5149699.article
- Ide W. Once Upon a Time in Hollywood review. The Guardian. 18 August 2019 – uneven ode to a lost era -https://www.theguardian.com/film/2019/aug/18/once-upon-a-time-in-hollywood-review-quentin-tarantino-leonardo-dicaprio-brad-pitt?fbclid=IwAR2W0AbIxzgqYJ-xj1loc6N5I2IEANTyx22DiscxKuR71P9ncIKMTpLjRJE
- Walters B. Film of the Week: Heil, Ceaser! At your service: the Coens salute the circus mastery of Golden-Age Hollywood. Sight & Sound. 12 April 2018 - https://www.bfi.org.uk/news-opinion/sight-sound-magazine/reviews-recommendations/film-week-hail-caesar
- https://www.imdb.com/title/tt0043014/trivia?ref-=tt-ql-2

1. კადრი ფილმიდან დიდება კეისარს!
რეჟ. ჰ და ე. კოენები. 2016
SCENE FROM *HAIL, CAESAR!* DIRECTED BY
JOEL AND ETHAN COEN, 2016.

2. კადრი ფილმიდან ერთხელ ჰოლივუდში,
რეჟ. კ. ტარანტინო. 2019
SCENE FROM *ONCE UPON A TIME IN HOLLYWOOD,*
DIRECTED BY Q. TARANTINO, 2019.

3. კადრი ფილმიდან სანსეტ ბულვარი.
რეჟ. ბ. უაილდერი. 1950
SCENE FROM *SUNSET BOULEVARD,*
DIRECTED BY B. WILDER, 1950.

IN SEARCH OF LOST MAGIC

Tamta Turmanidze

Keynotes: *Cinema, Billy Wilder, Coen Brothers, Cinephile, Quentin Tarantino*
Illustrations: *p.98*

For 60th Anniversary Festival of Cannes, Gilles Jacob, the prestigious cinema forum's long-time president, outlined an interesting project. He offered some leading film directors of the world to shoot short films 3-4 minutes in length to express their attitude toward the art of cinema.

The nostalgy toward old, "grand" cinema can be felt in the very first frames of this collection. Moreover, it can be traced even in the title, *To Each His Own Cinema* and then, in fine print, *Or, How Your Heart Stops Beating, When the Lights Are off and the Film Begins*.

More than 20 film directors of various style participated in the project; hence the collection is rather heterogenous. Still, there was one thing that unified these diverse works. Most directors chose a movie theatre as a proper setting for the declaration of their love towards the art of filmmaking and decided to travel in the past: The Finnish workers in the sarcastic Aki Kaurismaeki's film watch *Workers Leaving the Lumière Factory* after a long workday; Nanni Moretti, sitting in a back row of a movie theatre, dedicates his 3 minutes to reminiscing as a viewer about everything that affected him.

In the collection initiated by Gilles Jacob waiting for the film to start in the darkness of the movie theatre is almost the same as waiting for a miracle. And the theatre itself turns into a territory of love and vanished magic. Still, despite multiple declarations of love towards the art of cinema, most films leave you with the feeling of sadness and pain associated with the loss of some magic.

One of the saddest of them all is probably Andrey Konchalovsky's *Dans le noir* (*Into the Dark*), in which a lonely elderly cleaning lady is watching Fellini's *8 ½* in a huge empty auditorium.

Notably, Jacob's project was conducted in 2007, when "grand cinema", as well as its marvelous actors, was not overshadowed by the world of highly artistic and extremely popular series and Netflix had not yet started streaming films.

In the past, Brother Lumières outdid Thomas Edison, as their invention, cinematograph, was designed for mass audience, whereas Edison's kinetoscope could only be watched by a single viewer. Today, we see an absolutely opposite trend: the screen, introducing films in our everyday life, becomes smaller and smaller and, practically, is reduced to the size of our smartphones, and the film can be paused, rewound, or switched off at any moment.

The beginning of nearly every past decade was marked by discussions on a crisis in the cinema genre. At first there was TV that enabled people to get their daily portion of entertainment without leaving home, then the gradual development of new technologies took place to offer endless new possibilities, but simultaneously, partly deprived the art of film of its individuality.

Without taking into consideration the Camera Obscuras or Laterna Magicas, created throughout the centuries, or the sketches of cinema camera created by Leonardo, we have to edmit that during 125 years of its existence cinema has never found itself in such an unusual state, although some crises have occurred before. More and more frequent are conversations about the end of cinema, its dissolution and disappearance in the realm of global networks. During such major crises, cinema starts projecting its own past on the screen and, as a rule, begins shooting films about film.

Talks about the death of cinema were first heard when sound films substituted silent ones and numerous artists were not able to catch up with the new changes and were left behind the cinematographic realm. This is best depicted in Bill Wilders 1950 film *Sunset Boulevard*, where Gloria Swanson's character, Norma Desmond, a long-forgotten star of silent film declares that the art of film is dead, or rather, "murdered" after the advent of the sound era, which lead to the destruction of such icons, as Fairbanks, Gilbert and Valentino.

Norma Desmond, once adored by millions of movie fans, lives alone and forgotten in her huge house-sepulcher, she is accompanied only by her devoted butler Max, who is ready to fulfill all her wishes and commands. Max keeps Norma's illusions alive to prevent her from successfully completing a series of suicide attempts. Almost every

day he sends her letters on behalf of her non-existent admirers. The dramatism of the situation is enhanced by the fact that Gloria Swanson, who performs the role of Norma Desmond, was once herself a star of silent films.

There are many other "fallen idols" in Wilder's film, who play themselves, e.g. one of the greatest comic actors of pre-Chaplin era, Buster Keaton with his characteristic—maybe, a bit aged, but still imperturbable—facemask; Max von Mayerling (the character played by Erich von Stroheim, an European expatriate), once a promising film director and Norma Desmond's ex-husband, who is so deeply in love with Norma and the old world of silent cinema that he willingly relegates himself to a humble position of a butler just to be by the side of his idol. Von Stroheim's character mentions in the film that three most promising film directors of Old Hollywood were David Wark Griffith, Cecil Blount DeMille, and Max von Mayerling. American cinema critic Roger Ebert argues, if we substitute the last name with Erich von Stroheim, the main idea will remain practically the same.[1]

In one scene from *Sunset Boulevard* when the idols of old times gather to play bridge at Norma's house, another main character, a down-on-his-luck screenwriter Joe Gillis, wittily calls this gathering a waxworks' party. Actually, Buster Keaton, von Stroheim, and Anna Q. Nilsson represent not just their own selves, but a whole era and a generation of former film stars who fail to accept new reality. Wilder often uses real-life names in his film, such as Darryl Zanuck, Greta Garbo, Tyrone Power. Moreover, in a scene shot in a real Paramount studio even legendary Cecil B. DeMille can be seen.

The character of Norma Desmond herself was inspired by certain aspects from the lives of several silent movie female stars. The character portrayed by Gloria Swanson lives as a recluse away from crowds just like Mary Pickford, once adored by millions of American viewers. Like another silent movie star Mae Murray, she also struggles with mental disorders.[2] Swanson plays her character in a theatrical manner characteristic of silent movies, with expressive gestures and eccentricity close to hysteria, which reveals the contrast between the reality of the 1950s and the old movie world Norma Desmond used to belong to. It is impossible to unsympathetically watch the last scene of the movie, where, after killing Gillis, Norma loses her sanity completely and, surrounded by cameras, imagines herself starring in a new film.

Former idols themselves reacted differently to *Sunset Boulevard*. After the closed premiere in Hollywood, Barbara Stanwyck kneeled in front of Gloria Swanson and kissed her dress. However, Mary Pickford left before the movie was over. Mae Murray also considered the film to be insulting. By the way, both actresses were previously viewed as possible candidates for the lead role.

Still, it is hard to disagree with Roger Ebert claiming that "*Sunset Boulevard* remains the best drama about the film industry as it attempts to see beyond illusions, though Norma herself fails to do so". [3]

Wilder's film is a real-life drama of people left outside the movie world, where there is room for the sympathy toward former stars who have now become shadows of the past, as well as for the proper irony toward them and due criticism of the film industry. Because of this, Louis B. Mayer even called the director "ungrateful."[4] Movies about the film industry shot in the postmodern era are completely different. They are clearly characterized by cinephilia and nostalgia.

In 2016, American film directors, brothers Ethan and Joel Coen, made a film *Hail, Caesar!* In which they sarcastically portrayed the end of a huge studio era in 1950s and the "witch hunt" of the McCarthyism period. *Hail, Caesar!* Is not the best work by the Coens, but it definitely is an interesting example of how the approach of movies toward representing themselves has changed over the years. The reviewer of Sight and Sound Magazine Ben Walters asserts that "the film's mission might be to save the movies from themselves—to celebrate the classical system's capacity to generate delight without overlooking the ugliness and absurdity involved in the process."[5]

Coen brothers are never reluctant to reveal this absurdity. At the beginning of the film, during the making of *Hail, Caesar!* at a fictional studio *Capitol Pictures*, lead actor Baird Whitlock (George Clooney) disappears. This proves to be most painful for Eddie Mannix, a conflict "fixer" responsible for the productivity of the studio. He

1 Ebert R. Sunset Boulvard.
2 https://www.imdb.com/title/tt0043014/trivia?ref_=tt_ql_2
3 https://www.rogerebert.com
4 https://www.imdb.com/title/tt0043014/trivia?ref_=tt_ql_2
5 Walters B. Film of the Week: Heil, Ceaser!

not only has to find the missing person as soon as possible, but also should prevent the media from finding out anything about the fact, which can cause a scandal and be destructive for the studio's reputation, something sacred to Mannix, who spends countless sleepless nights and restless days to maintain it at the expense of care for his family and himself. All these things have exhausted him so much that he has been looking for another job for some time and even meets a potential employer at the beginning of the film.

Throughout most of the film, Coen brothers use cues and quotes from classic Hollywood movies, getting to the classic genres of Hollywood one by one or to their related stereotypes during the studio system domination period. The characters of the film themselves represent a kind of cumulative artistic faces of actors of different times related to these genres.

The film shot by Capitol Pictures is a typical multimillion peplum like *Ben Hur* (1959) or *Quo Vadis* (1951). Thousands of associations can be found with the character of Ralph Fiennes, a European grandmaster director of salon melodramas who is forced to film cowboys by talentless actors moving from westerns into his film because the studio management decided so.

Coen brothers also portrayed the two main rages of classic Hollywood in their film: Luella Parson and Hedda Hopper. They united them in the double character of Tilda Swinton. Swinton here simultaneously plays the role of twin sisters who hunt for the piquant details of the personal lives of movie stars. For more associative, Coen brothers also added weird hats to these characters, which have become Hedda Hopper's trademark. In a word, a film is a real gift for any cinephile who can recognize familiar films, actors or directors in it.

Coen brothers and their audience are quite a long time away from the stories told in the film, and a lot has changed both in cinema and in the world as a whole. Time, on the other hand, has one strange feature: it presents even the most difficult events of the past with a kind of nostalgy and romanticism. After some time, even in the era of McCarthyism, it can be shown with irony and grotesque. That is why George Clooney's protagonist is kidnapped by a group of overwhelmed screenwriters sympathetic to the Communists, and the latter's dream is to travel to the great Soviet Union.

In the end, the victory in the Coen film remains with the cinematograph. George Clooney's character also returns to the set, and Eddie Mannix overcomes the temptation to move to a new, quieter job and stays true to the film studio.

Most modern directors are horrible cinephiles, they respect the idols of the past, and their films are full of abundant quotes from classic cinema, but the biggest of them all is still Quentin Tarantino. All his filmography is continuous replicas and homages to the old cinema, be it spaghetti westerns or films about Eastern warfare. According to The Guardian, his *Once Upon a Time in Hollywood* is nothing more than a love letter to the 1960s Hollywood.[6]

Once Upon a Time in Hollywood is probably Tarantino's most atmospheric film—the director allows himself to enjoy the visualization of the past to the end. Brad Pitt's character runs for 6 minutes on the famous Beverly Hills serpentine, slowly darkens, neon lights of bars or restaurants are lit, rock and roll on the radio, the noise of the city is heard in the evening, cars enter a drive-in cinema. Or Sharon Tate, gold-tanned with California' s sun, played by Margo Robb, the epitome of youth, beauty and success, drives to the city center in her little car, picks up a hip girl along the way, and then buys a book for her husband at a second-hand shop. Suddenly she reads her name on the movie poster and enters to watch a movie, while in the movie theater, with her legs folded on the backs of the front row seats, she silently removes her glasses and happily looks at herself on the screen.

It is rare in modern Western cinema to have so much screen time devoted to episodes unrelated to action development. Those who waited for Tarantino action, cross-narration, dynamic editing and pools of blood in this film were a little disappointed, because the "brand" Tarantino only appears in the last episode of the film, for a very short time. The protagonist of the film is neither Leonardo DiCaprio's aged TV western actor Nick Dalton, nor his faithful "armor-bearer" Cliff Butt (Brad Pitt), nor Charles Manson, whose horrible ghost will shine in just a few seconds. The protagonist of the film is time itself, the 1960s, a time of rebellious freedom, rock and roll and youth protest, when it seemed to everyone that it was still possible to change the world for the better.

The ghost will glow in just a few seconds in one of the episodes. But despite the sense of atmosphere, Tarantino still leaves the viewer in a state of constant

6 Ide W. Once Upon a Time in Hollywood review.

suspense, and it does not require much effort. When you know the story of the real assassination of Sharon Tate, Charles Manson's momentary flash on the screen will make you panic and keep you unknowingly waiting for a fatal ending.

It was a bit strange when Tarantino, at the Cannes Film Festival, demanded with maniac-like obsession the audience to keep the finale of the film in secret.

After all, Tarantino knows best that cinema is not just a plot, and it is even more surprising that he fears spoilers. It can be assumed that his behavior may have two reasons. One is that Tarantino has once again shattered the public obsessed with the fear of spoilers, which is not really surprising from him, and the other is that by saving Sharon Tate, he has saved cinema and the entire era with it. Film critic Gogi Gvakharia writes: "Quentin Tarantino has dedicated his new film to the Grand Cinema,' which no longer exists and has been replaced by 'consumer goods' which, in turn, can be cheap if you act like a harmful monkey and tell the plot to the audience in advance. Quentin Tarantino himself wrote that the film was a desire to restore the 'epic Hollywood' that ended in 1969."[7]

All three films we have reviewed are dedicated to the separation from a particular era in the history of cinema. In today's world, it is difficult to make any predictions about the further development of cinema, especially in the face of a changed reality by the coronavirus. Netflix has already managed the "Homemade" premiere of the pandemic film almanac, for which 18 directors made short films about their self-isolation.[8] The directors of the Cannes Film Festival categorically refused to hold the festival in an incomplete, online mode and limited themselves to publishing the list of films that would participate in the film forum. In an interview with the British Film Site, Thierry Fremaux, the festival's general director, said that the festival should be presented in the best possible way, "with the participation of stars, spectators, the press and experts", which is impossible under the coronavirus. [9] Accordingly, the compromise option was not considered either.

In the final scene of Billy Wilder's *Sunset Boulevard*, Gloria Swenson's character addresses the director with a royal gesture and says: "Nothing else, only we, the cameras, and these wonderful people in the dark." It is really hard to disagree with her.

REFERENCES

- gvaxaria g. kventin tarantino exmareba RmerTs. 2 agvisto. 2019 - https://www.radiotavisupleba.ge
- Лаврецкий Н. Альманах Homemade на Netflix: Паоло Сорентино, Кристин Стюарт и другие в надежде на продуктивный карантин. Искусство Кино. 07.07.2020 - https://kinoart.ru/reviews/almanah-homemade-na-netflix-paolo-sorrentino-kristen-styuart-i-drugie-v-nadezhde-na-produktivnyy-karantin?utm_source=facebook.com&utm_medium=social&utm_campaign=ot-paolo-sorrentino-do-kristen-styuart-n
- Ebert R. Sunset Boulvard. 27 June. 1999 - https://www.rogerebert.com/reviews/great-movie- sunset-boulevard-1950
- Goodfellow M.. Thierry Frémaux talks Cannes 2020 Official Selection plans, saving cinema, and Spike Lee's return (exclusive) . 11 May 2020 https://www.screendaily.com/interviews/thierry-fremaux-talks-cannes-2020-official-selection-plans-exclusive/5149699.article
- Ide W. Once Upon a Time in Hollywood review. The Guardian. 18 August 2019 – uneven ode to a lost era -https://www.theguardian.com/film/2019/aug/18/once-upon-a-time-in-hollywood-review-quentin-tarantino-leonardo-dicaprio-brad-pitt?fbclid=IwAR2W0AbIxzgqYJ-xj1Ioc6N5I2IEANTyx22DiscxKuR71P9ncIKMTpLjRJE
- Walters B. Film of the Week: Heil, Ceaser! At your service: the Coens salute the circus mastery of Golden-Age Hollywood. Sight & Sound. 12 April 2018 - https://www.bfi.org.uk/news-opinion/sight-sound-magazine/reviews-recommendations/film-week-hail-caesar
- https://www.imdb.com/title/tt0043014/trivia?ref_=tt_ql_2

7 Gvakharia G. Tarantino.

8 Лаврецкий Н. Альманах Homemade.

9 Goodfellow M. Thierry Frémaux talks Cannes 2020 Official Selection plans, saving cinema, and Spike Lee's return (exclusive).